

8  
1-644

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეარ კოეუაჟიე

**ტრადიცია და ნოვატორება  
ჯონ ფაულზის უემოქმედებაში**

10. 01. 05 / ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
სარისხის მოსაოვეჟლად წარმოღვენილი დისერტაციის

**ა გ ტ რ ე შ ე რ ა ტ ი**

ფართობი № 36  
29 " 10 2001

თბილისი  
2001

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეარ კოხეშავიე

ტრადიცია და ნოვატორობა  
ჯონ ფაულზის შემოქმედებაში

10. 01. 05 / ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
სარისხის მოსაკრებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ი რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი  
2001

-1829-

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნატალია ორლოვსკაია

ოფიციალური ოპონენტები:

- 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეთერ თოფურიძე
- 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი თამარ ნუცუბიძე



დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წ. „16“

„ოქტომბრის“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (P 10. 05. №4) სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორფერატი დაიგზავნა „16“ „ოქტომბრის“ 2001წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ს. ციხითათრიშვილი

(რ. ციხითათრიშვილი)

### ნაშრომის ზოგადი ღახასიანთეზა

ჯონ ფაულზი XX საუკუნის მეორე ნახევრს ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მის კალამს ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები: „კოლექციონერი“ („Collector“, 1963), „ჯადოქარი“ („Magus“, 1966), „ფრანგი ლეიტენანტის ქალი“ („The French Lieutenant's Woman“, 1969), „დანიელ მარტინი“ („Daniel Martin“, 1977), „მეგოტი“ („A Maggot“, 1985). მწერლის ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ და რუსულ ენებზე.

მკვლევარნი ერთსულოვნად აღიარებენ ჯ. ფაულზის შემოქმედების დიდ მნიშვნელობას, თუმცადა ხშირად მისი ნაწარმოებების განსხვავებულ ინტერპრეტაციას ახდენენ თავიანთ ნაშრომებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ანგლისტიკაში მისი შემოქმედება წარმოდგენილი არაა: ქართველი მკითხველი მხოლოდ მოთხრობა „აბანოზის კოშკს“ იცნობს, რომელიც 1989 წელს გამოიცა მ. ხელაშვილის თარგმანით ჟურნალ „საუნჯეში“.

ჯონ ფაულზის შემოქმედებაზე ჩვენი ყურადღების შეჩერება განაპირობა იმან, რომ მის მხატვრულ ნააზრევს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XX ს-ის ლიტერატურაში, მისმა რომანებმა დიდი გავლენა იქონია თანამედროვე ინგლისური პროზის განვითარებაზე. მწერლის შემოქმედების ირგვლივ არსებულ მრავალრიცხოვან მონოგრაფიათა და სტატიათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი მწერლის ნაწარმოებების ზოგადი ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ფრანგ ეგზისტენციალისტთა ზეგავლენას მის შემოქმედებაზე. დისერტაციაში „ტრადიცია და ნოვატორობა ჯ. ფაულზის შემოქმედებაში“ მწერლის მხატვრული ნაწარმოებებისა და თეორიული მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით წარმოვაჩინე მწერლის შემოქმედებაზე სხვადასხვა მხატვრულ-ესთეტიკურ ტენდენციათა შერწყმას. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ჯ. ფაულზის ნაწარმოებების მხატვრული ანალიზი ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია მწერლის ესთეტიკურ-ფილოსოფიური პოზიციების გათვალისწინებით, მისი შემოქმედება განხილულია ომის შემდგომი პერიოდის ინგლისური პროზის ევოლუციისა და სპეციფიკური თავისებურებების განვითარების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით ჯ. ფაულზის რომანები, ფაქტობრივად, კრიტიკულ ლიტერატურაში არ ქცეულა მეცნიერული შესწავლის ობიექტად. ერთის მხრივ, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა მწერლის მისწრაფება ევროპული ჰუმანიზმის კულტურული ტრადიციებისადმი, მისი ტრადიციულობა სიკეთისა და ბოროტების, ხელოვნების დანიშნულებასა და როლის პრობლემათა გადაჭრის